



ოქტრიკ სსოპრებამ

1910 სათეატრო სალიტერ. კვირეული ქუთაისი № 2



3195



გ უ ლ გ უ ლ ი

(გუძღნი ვლ. ალექსი-მესხიშვილს)

ვნახე ბუღბული, წაოკოტს იყო,
ყვავილებს ჰკრებდა,
და თან მზიბოლავის ციურის ხმით
დამღერდა ბუჩქნარს...
ხოლო არ ვიცი, რისთვის, ან რად
ვის უმზადებდა:
ქვეყნის რჩეულ შვილს, ჩემს მამულს თუ
სატრფოს-მეგობარს?!

* * *
მე კი მსურს მგოსანს, აზიყთ მეფეს,
იმ მღერალ ბუღბულს,
წავბაძო ჰანგით და მისამებრ
დავილინო, —
მსურს თაყვანი ვსკე უანგაროს,
მის ნიქს დიდებულს,
მსურს ყვავილთ-ჯილა თავს დავადგა,
დავაგვირგვინო!..

ი. გრიშავილი

10 იანვარი 1910 წ.

საზოგადოება ჩვენი დროის სცენის მო-
ღე ჩვენი სცენა. ტრფილიე მხოლოდ გა-
სართობად არ დაიარება თეატრში, არამედ
ესთეტიურ კმაყოფილების მისაღებად...

რომელიმე პიესის შინაარსის, ანუ მსახიო-
ბის თამაშობიდან 99% რომ კარგი იყოს და
მხოლოდ 1% უხვირო, მაყურებელს მაინც ეს
მეასელი უხვირო ნაწილი უხდენს შთაბეჭდილე-
ბას, აბრაზებს, აცოფებს, სამდურავით აყვებს...

ამის დამამტკიცებელია ჩვენი სცენა.

იყო დრო, როცა საზოგადოება თეატრში
მხოლოდ გართობა-გაცინებისათვის დაიარებო-
და, თეატრი ბერკაბა ვგანა...
ამ გვარი მაყურებელის ხელში მსახიობიც

იოლას გამოდიოდა: ხშირად თავის მხრით ისეთ
სიტყვებს წამოისროდა ხოლმე სცენიდან, რაც
შეიძლება პიესის იდეას არ შეეფერებოდა, მაგ-
რამ მაყურებელს-კი გაახიოთხიებდა, გააცინებდა.

გემო - ვანუვიტარებელ მაყურებელს შეი-
ძლება ეს ერიჩება და ერიჩენოს კიდევ;
მაგრამ გემო-ვანუვიტარებელი მოთეატრე ამას
ვერ შეიწყნარებს: მას სწყურია ხელოვნური
თამაში, უმაღლესი სულიერი საზრდა...

და სწორედ ამითი აიხსნება ის გარემოება,
რომ დღეს ქართველი საზოგადოება სამშობ-
ლო სცენაზე გაორკულებულია...

ერთნი მოვასხენებენ: რისთვის წავიდეთ
ქართულ თეატრში, როდესაც უცხო უკეთესი
ხელოვანი მსახიობნი უკედ მოწყობილ წარ-
მოდგენებს ვეჩვენებთ; მეორენი ბძანე-
ბენ — დავდივართ, მაგრამ... სიამოვნების
მისაღებად კი არა, — ქართველი მსახიობი
გვებრალება და მის შესაწევრად დავდივართო...

აუტანელია ასეთი მდგომარეობა, — თეა-
ტრისა და მისი მსახურის ღირსებაც სწორედ
მაშინ გაიქვლა ჩვენში ფეხ ქვეშ, როდესაც იგი
საკლახაოდ გადაიქცა...

თეატრი კი ერთს წერტილზეა შეჩერებუ-
ლი... ჩვენმა სცენამ წარსულში ოთხი-ხუთი
ნიტიერი მსახიობნი — თეითნიტიერებანი, რუ-
სები რომ იტყვიან — самодержавни წარმოშო-
ბა, — ეს იყო და ეს...

მათ თავის დროის მოთხოვნილება ღირსეუ-
ლად დააკმაყოფილეს... დღეს ასეთი თეითნი-
ტიერნი რომ წარმოიშვნენ კიდევ, მაინც ფუნს

ვერ ვავლენ, რადგანაც ჩვენი დროის სასცენო
ხელოვნება სათვალწინოდ განვითარდა, რასაც
ანგარიში უნდა გაუწიოს სცენის ყოველმა ახა-
ლმა ქურუმმა...

ხოლო ჩვენი თეატრის აწინდელი მდგომარეობა
ისეთი სახარბიელო არ არის, რომ ვინ-
მე შეძლებულთავანმა უმაღლესი განათლება
მიიღოს, სხვა საქმეს თავი გაანებოს და სამ-
სახური ირჩიოს სამშობლო სცენაზე...

თუ ჩვენს საზოგადოებას ეროვნული სცენა
რადმე მიანია, ახლავე უნდა მოჰქიდოს ხელი
სამშობლო თეატრის ძირეულ გარდაქმნას...

ჩვენმა საზოგადოებამ ძველ-ბოლოში უნდა
გათქვიფოს ის აზრი, რომ ქართულ თეატრს
ასკესამს და უნდა ასრესამს კიდევ, ვიდრემდე
ქართულად მოლაპარაკე-მსმენელიც იარსებებს
ქვეყანაზე...

ამისათვის-კი საჭიროა გამოვზარდოთ უმაღ-
ლეს სწავლა-ცოდნით აღჭურვილი მსახიობნი...

და საზოგადოებამ ახლავე უნდა იზრუნოს—
იზრუნოს თავგამოდებით ამ ნაკლის შესავსებად.
მიუხედავად ჩვენის სიღარიბისა, ჩვენი ქველ-
მოქედნი მაინც ახერხებენ და სტიპენდიან-
ტებს ჰზავნიან რუსეთსა და საზღვარ-გარედ...

ამგვარად აღზრდილებით მოხელეთა რაზმს
აძლიერებენ და ეროვნულ თეატრზე-კი არ
ფიქრობენ... დრო-კი თხოულობს, რაოდენიმე
ახალგაზდა ქალი და კაცი გაიზავნოს რუსეთ-
სა და საზღვარ-გარედ სასცენო ხელოვნების
შესასწავლად: ამ მიზნით წასულმა ახალგაზღო-
ბამ იმის გარდა, რომ საზოგადო განათლება მი-
იღოს, შეეძმიწენით უნდა შეისწავლოს სამშო-
ბლო ხელოვნობა, ხელოვნება, ისტორიაღ სხ.

ამ საქმეს მოწყობა ეჭირვება, გულის დადებ-
ბა და იმის გათვალისწინება, რომ ჩვენი სცენა
ასე ერთ წერტილზე უნდა გაიყინოს, თუ წინ
წავიდეს...

გარდა ახლად გასაზავან ახალგაზდებისა, აუ-
ცილებლად საჭიროა საზოგადოებამ ყურადღე-
ბა მიაქციოს რუსეთში სასცენო ხელოვნების
შესასწავლად უკვე წასული...

ჩვენს სცენას ეჭირვება ნორჩ ძალთა ძლი-
ერი ტალღა, დამყაყებულ შშორის გასაწ-
მენდათ და ახალი კედლების აღსაშენებლად...
უაპისოდ ერთ ნაბიჯსაც ვერ გადავდგავთ წინ,
ჩვენზე ხელით ყელს გამოვიჭრით და დასაგ-
მობნი შევიქნებით შთამომავალთავან...

...მედის კარებთან

მწუხრია... ბინდმა კაქშთაფანს
ოცნების ზღვაში შემატოხანს;
და შერდქექში ჩაქლელ ტრეობას სხმადაის
გაღვართქაფება შემატოხანა...

აფორაქდა რწმენის ტაძარი,
სასთების ვარდს ჩამოსტედა ტოტი;
ახტერდა გულა... აქლელა სულა...
უდროთად ჩასქენა ბუდის წაღვოტი!

ბრძოდას წუწრვადით ვაწვა... ვადავვა...
გაქვითიებ რწმენის ცოცხ სამარესთან;
ვაკმობარება სეტრფის შავს ახრდადს,
დეშონად ვსდგეკვარ ბუდის კარებთან!

ქ. ფშაველა



ორიოდე სიტყვა

სათეატრო ქურნალის დანიშნულებაზე

„თეატრი და ცხოვრები“-ს რედაქციამ პატრი მცა და დამატივა ქურნალში მონაწილეობის მისაღებად. მაგრამ მე ძლიერ მეძნელება ამ ჩემთვის საპატიო თხოვნის ასრულება. დიდი ხანია ბედმა მომწყვითა ქართულ თეატრს. დიდი ხანია კალამი ხელში არ ამიღია, რომ ქართულად რამე დამეწერა. მართალია, სულით და გულით ჩვენი ქვეყნის შვილად დავრჩი და, თუმცა რუსულად ვწერდი, მაინც ყოველივის ჩვენი ქვეყნის ბედი მაინტერესებდა. მაგრამ რაკი გადავვიცი ქართულად წერას და ქართული სცენის ბედზე ფიქრს, ეხლა ძნელად მებერხება ერთიც და მეორეც. ამიტომ ადრევე ბოდიშ ვიხდი რედაქციისა და მკითხველების წინაშე, თუ მათ ვერ იპოვეს ვერაფერი მათთვის საინტერესო ქვემო მოყვანილ სტრიქონებში.

რა თქმა უნდა, სათეატრო ქურნალს დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს სცენის გასაუმჯობესებლად, — ისეთივე დიდი მნიშვნელობა, როგორც კარგს რეჟისორს ან კარგს მასწავლებელს სკოლაში. მან უნდა წააქეზოს ახალგაზდა მსახიობნი, შეაყვაროს მათ სცენა და მისი ძირიანად შესწავლა. მხარი მისცეს ნიჭიერ დრამატურგს, აუხსნას მისი ნაწარმოების მნი-

შვნელობა როგორც მსახიობთ, ისე მაყურებელთ. გულახდილად უჩვენოს მათ მათი ნაკლებულევაწიანი, მათიშე ცდომანი, უჩვენი, როგორ ასკოლდენ ისინი კულად არჩეულ გზას და სხვა. მაგრამ სად ვიშოვოთ ასეთი სასურველი მკოდნენი სცენისა, სად ვიპოვოთ მეორე ლესინგი, ახალი ბელნსკი ან სარსე? ჩვენ აქამდე გვეძნელება სავარგისი რეჟისორის პოვნა. მით უფრო ძნელია გამოვებნოთ ნიჭიერი მკოდნე კრიტიკოსი.

მაგრამ ახალ ქურნალს, როგორც მისი სათაური გვიჩვენებს, კიდევ სხვა დანიშნულება აქვს. მიზნად მას აქვს სცენის დაახლოება ცხოვრებასთან. ჩემის აზრით, ამის მიხვევა შეიძლება, სხვათა შორის, შემდეგის გზით. კარგი იქნება ახალმა ქურნალმა შეითვისოს ის ჩვეულება, რომელიც არსებობს საზღვარ-გარეთის ქურნალ-გაზეთობაში. ეს არის ესრედ წოდებული „ინტერვიუ“, ე. ი. საუბარი სხვა და სხვა ცნობილ მოღვაწესთან ამა თუ იმ საინტერესო სავაწე. ზოგჯერ ქურნალის თანაშემწე ესაუბრება არა მარტო ცნობილ მოღვაწეს, ესაუბრება აგრეთვე საზოგადოდ მკითხველებს, ან მაყურებლებს (თუ სცენაზე არის საუბარი) და რასაც გაიგებს — ბეჭდავს ქურნალში.

ეს გზა მეტად სასარგებლო იქნება ჩვენში, სადაც საზოგადოება ჯერ არ არის შეჩვეული თავისი აზრი თითონვე დაბეჭდოს. ეს მეტად გაუადვილებს ქურნალს დაუახლოვოს მაყურებლები მსახიობს და პიესის ავტორს. რასაკვირველია, ყოველი უვიკის აზრი თუ დაგებულად, ეს არამც თუ არაფერს სარგებლობას არ მოუტანს სცენას, არამედ მავნებელიც იქნება. მაგრამ თუ ფრთხილად ვისარგებლებთ „ინტერვიუთი“, თუ გავივებთ აზრს ნიჭიერ და მკოდნე მწერლისას, მსახიობის, ექიმის, ადვოკატის და სხვა საზოგადო მოღვაწისას, ამით კოტათი მინც ავიცოლებთ ჩვენს მწერლობასა და სცენას იმ ნაკლს, რომელიც ახლა არსებობს ნამდვილ თეატრულ კრიტიკოსის, სათეატრო სკოლის რეჟისორის უქონლობის გამო. კვიანი სიტყვა, ნამდვილ ცხოვრების ხმა ბევრს რასმეს ასწავლის ახალგაზდა მსახიობსა და დრამატურგს და ბევრს შეცდომას აცილებს მათ. როცა საზოგადოება დარწმუნდება, რომ მისი ხმა არა რჩება ხმად მღალადებელთა უდაბნო-



ში, ის მეტს ყურს ადევნებს სცენას, უფრო დაუახლოვდება იმას, უფრო შეიყვარებს და მეტს თანაგრძობას აღმოუჩენს. ასეთი შუამავლობა ჟურნალისა სცენისა და საზოგადოების შორის დაუმკიდრებს მათ კავშირს და ბევრს მკითხველს და თანამგრძობს მოუპოვებს ჟურნალს. ასეა საზღვარ-გარეთ და მგონი ჩვენშიაც ასე იყოს, თუ მკვიდრად დავადგებით ზემოხსენებულ გზას.

გ. თუმანიშვილი

ქართულ თეატრის მოღვაწენი



თ. გიორგი მიხეილის ძე თუმანიშვილი
 ქართ. სამუდამო სცენის ერთი დამფუძნებელთაგანი,
 დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი სცენის წინაშე.

სიტყვა-კასმულ ნაწარმოებთა
საერთო დღეასება (გაგრძელება)

რომ ვიზოვით მხატვრული ნაწარმოების საერთო საზომი, ამისთვის საჭირო არის მოვძებნათ მხატვრობის ის საერთო სამელობელო, სადაც იმისი სხვა-დასხვა ხმები შეადგენენ ერთ ტკბილად მომღერალ გუნდს, სადაც იმისი სხვა-დასხვა სიმები იკვრებიან ერთის გრძობით, ერთის სინაზით; სადაც იმისი სხვა-დასხვა ძაფები შეადგენენ სილამაზისა და სიმშვენიერის ერთ უშველემელ ბადეს, ერთ ქსელს, რომაიაც იხლართება ადამიანის სული და გული, მისი გრძობანი და მისწრაფებანი.

ასეთ საერთო საზომად ჩათვლება ის „რალაც“, რომლის ნაკლებუღვენებასაც ინსტიტუტურათა გრძობს ყველა დამფასებელი თავის საზომში, თავის შეხედულობაში.

შევეცადოთ რამდენიმეთ მაინც ავხსნათ ეს „რალაც“; რამდენიმეთ რადგან, ჩემი აზრით,

იმისი მხოლოდ გრძობა შეიძლება საესეებით და არა ახსნა.

ამ „რალაცის“ ნათლთ დანახვა კაცს შეუძლიან მხოლოდ თავისი პირად გამოცდილება-დაკვირვებით და არა სხვის რჩევით. სხვას შეუძლიან მხოლოდ მიუთითოს ამ „რალაცის“ არსებობაზე, რადგან ხშირათ ყველაზე ძვირფასი, ყველაზე ჭეშმარიტი რამ მიყატუქულია საღლაც ტვინის მივიწყებულ კუთხეში, საღლაც გულის სიღრმეში და ადამიანს არ ავონდება როდისმე შეხედოს თავის ტვინის მივიწყებულ კუთხეში, ჩასწვდოს თავის გულის სიღრმეს და ამომაზვოს იქიდან თავისი არსების განძი, თავისი უხილავი საუნჯე. მხოლოდ თუ მიუთითებს ვინმე, იქნება მაშინ მიხედეს თუ რა დაუფასებელი სიმღიდრისა და თვისების პატრონი ყოფილა იგი.

ესლა, თუ გინდა მხატვრული ნაწარმოების საერთო საზომი შევიმუშაოთ, მაშ ჯერ უნდა გადაესწყვიტოთ, თუ საერთოდ რა შეგვიძლიან მოვსთხოვოთ მხატვრობას?

ჩაუკვირდით თქვენ თვითონ მხატვრობის, ხელოვნების არსებას, მის დამახასიათებელ მუღმე, განუყოფელ თვისებას და დანიახათ, რომ მხატვრულ ნაწარმოებში ყველაზედ უმთავრესი მნიშვნელობა აქვს სალამაზესა და მგრძობობერობას,

თუ მხატვრულ ნაწარმოებში არ არის სილამაზე და მგრძობობერება, მაშინ ამ ნაწარმოებში რაც გინდა დიდი იდეა იყვს გატარებული, ის ყოველთვის ისე ავივილის გვერღზე და გაპქრება შეუღმწველათ, რომ უზაროლო სალამაზე კი არ ეტყვის ჩვენ სულსა და გულს, არამც თუ სიტკობებითა და სიამოვნებით ააღლეღებს, ააშფოთებს ჩვენს გრძობას, ჩვენს ფიქრებს და ამ ღლეღასა და შფოთში თვითონაც შეემატკბილებთ, შევისისლორკება მათ და განუყოფლათ იცხოვრებს მათთან თუ სალამაზე არა, განსაღვრულ ღრომდის მაინც.

სამაგიეროთ ნაწარმოებში რამდენაღაც უფრო მეტი სილამაზე და მგრძობობერობაა, იმდენათ ის უფრო მხატვრულია.

ბერის აზრით, ხელოვნება უნდა იყვს სინამღელის გამომატკველი და ჭეშმარიტი, ხელოვნური ნაწარმოებტიც ის არის, რომელიც უფრო ნამღვილათა მხატვს ამ სინამღელისც.



მაგრამ თუ სიტყვა „რეალისტური“ ვინმართ არა როგორც განსაზღვრულ ფილოსოფიურ მიმდინარეობის გამოხატველია, არამედ თავისი თავისუფალი, დამოუკიდებელი მნიშვნელობით, მაშინ თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ რეალისტური შეხედულება არის არა ის, რომელიც ცალმხრივ მნიშვნელობას აძლევს ხელოვნების უმთავრეს დანიშნულებას და ამით ფრიად საზღვრავს მის კომპეტენციას, არამედ ის, რომელიც უფრო ღრმად ჩასწვდება ხელოვნების არსებას, რომელიც უფრო კარგად გაითვალისწინებს არა მარტო ლოლიკურ აზროვნების შემწობით, არამედ იმ, ჯერეთ კიდევ აუხსნელი, ფსიხიურ-ინსტიქტური თვისებებითა და საზომებითაც, რომლებიც ისე მრავლად იმყოფებიან ადამიანის არსებაში.

ისე რომ ადამიანის იმ ღრმა და ნაზი სულიერ-ინსტიქტური თვისებებით ხელმძღვანელობას, რომელსაც მეცნიერული ლოლიკა ჯერ ვერ ჩასწლოდა, არ შეიძლება ვუწოდოთ არა რეალისტური, რადგან ეს წოდება იქნება ფრიად აჩქარებული, წინდაუხედავი და რეალურობის მოკლებული.

ღიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, როცა მეც თვითონ ვითომდა ეს, „რეალისტურად“ ესჯიდი, მაგრამ საფუძვლიანმა დაკვირვებამ, მიუღვამოდმა ანალიზმა იმ შთაბეჭდილებებისა, რომელსაც ახდენს ჩემზე ეს თუ ის ნაწარმოები და გონებისაგან იმ უზილავი თვისებებისა, რომლის შემწვობითაც მოხდება ამა თუ იმ ნაწარმოების ავტორიანობის გადაწყვეტა, დამარწმუნა, რომ ეს ჩემი ვითომდა რეალისტური საზომი ფრიად მოუქნელი, მოკლე და გასწორდასწორა ყოფილა ისეთი მრავალფეროვანი, უშეშებელი და ნაზი შემოქმედებისა, როგორც არის ხელოვნება.

როცა ვითომდა და რეალისტები ამბობენ, რომ ხელოვნება უნდა იყოს სინამდვილის გამოხატველია, მაშინ ისინი აქ გულისხმობენ მეცნიერულ სინამდვილესა და ჰეშვარიტებსა და ვერ ამჩნევენ, რომ ხელოვნებასაც აქვს თავისი სინამდვილე, მაგრამ მისი სინამდვილე უცნაურად განირჩევა მეცნიერულ სინამდვილისაგან. მეცნიერულ სინამდვილეს ერთ ასობს ვერც მიუმატებ, ვერც დააკლებ; ერთ მილიმეტრზე ვერც მარჯვნივ წაიღებ, ვერც მარცხ-

ნივ, ვერც მალა, ვერც დაბლა, იოტის ოდნადაც-კი ვერ შესვლილი მის თვისებას.

სულ სხვაა ხელოვნების სინამდვილე.

ის უცნაურ ფრთებს ასხამს მეცნიერულ სინამდვილეს და დააქროლებს კიდედან-კიდესკენ ვიდრე გაუძღვებს თავის ფრთების ძალა, ვიდრე ეყოფა სივრცე და ღრო.

ხელოვნება იღებს მეცნიერულ და ცხოვრების სინამდვილის მაქსიმალურ და მინიმალურ საზღვრებს, რომ ამით მისი შინაარსი უფრო ძლიერად, უფრო საგრძნობლად იყვეს გამოხატულ-გამოქანდაკებული.

მეცნიერულ და ცხოვრების სინამდვილეს ის ხშირად კიდევ მისწვდება ფიზიკურად და მაშინ ხელოვნების სინამდვილე დაკავშირებულია ცხოვრების სინამდვილესთან მხოლოდ სულიერად და დაპქრის, დასტრაილეს იმის გარშემო ისე, როგორც ღვდამიწის მზის გარშემო და მთვარე ღვდამიწის გარშემო.

ლ. მიტრეველი



მ ს ა ხ ი ო მ ს

(ვუძღვნი გაბუნია-ცაგარლისას)

ტუქში შეკვდა, სტრეფას ვეჭბდა, მაკატეს; ბუქში მიმალუდიო და მის მიდამოს, გულის სახმად, ტუქ მინდორ-გული გადმალდიო? აქ ვარდა ვნახე კარავა შლიდა, ია, ზამიანა სემუღავანა, ზატარა ტურეფა, ცქრიაფა ჩიტო შესტრეფაღებდა ნახე — ტუქაღ ხმავანა...

ჩემი გონება იქით მიიპურა, სდაც სულის-დგმა მიმალუდიო, და იქ ზატარა მოკლე დეღუქო ვარდა ეკვამი ამოსუდიო!..

გარდმა ფურჩქნაღმა ვეკამიღმა, მიკვლე, მოკვრაიფე, კონათ შეკვარა, მოკიძღვნი შენა, ჩუენა მოძღვარა, შენ, ვინც ტატგაღე ცხოვრების კარი!

გ. შიხიანი



უმთავრესი ძრინიები „ლალატი“-ს სცენაზე დადგმისა

(რეჟისორის შენაშენება)

აგერ რამდენი წელიწადია, რაც ქართულ სცენაზე „ლალატი“ იღვამის.

პიესა ქართულ ცხოვრებაზე ზედ გამოკრილია. ამ შენიშვნაში სხვას არას ვიტყვით „ლალატი“-ზე, თუმცა-კი უნდა აღვნიშნოთ, რომ კრიტიკა სერიოზულად არ შეჭხებია მას და არ გამოურკვევია მისი ავკარგიანობა. ჩვენს სცენისათვის „ლალატი“ ძვირფასი განძია; ამას ამტკიცებს ის მოვლენა, რომ არ არის არც ერთი სეზონი — პიესა ხუთჯერ ან მეტჯერ არ დადგმულიყოს. ამ ეჟად ჩვენს დრამატიულ მწერლობაში, პროპორციონალურად რომ ავილოთ, არც ორგინალური და არც თარგმნილი პიესა არა ყოფილა წარმოდგენილი იმდენჯერ, რამდენჯერაც „ლალატი“!..

და ჩვენის რეჟისორთა და მსახიობთა სამარცხეიონდ, საზოგადოების სამწუხაროდ, იგი პიესა არ ყოფილა დადგმულ-ნათამაშევი ისე, როგორც ეკადრება და შეეფერება.

მე აქ არ ვეხბი, რასაკირველია, კერძო როლების აღმასრულებელით. ყველამ იცის, ზოგიერთი როლი „ლალატის“ ზოგიერთ ჩვენ მსახიობთა-მიერ კარგად არის ნათამაშევი, ხოლო სამწუხაროა, რომ მიუხედავად ამ სასიამოვნო მოვლენისა „ლალატი“ ჩვენს სცენაზე მაინც ყოველნაირ ღირებულობას მოკლებულია. და ჩვენის აზრით, ეს იმიტომ ხდება, რომ პრინციპი „ლალატის“ დადგმისა ვერ არის გააზრული ჩვენის რეჟისორთა მიერ.

პირველ დადგმისთანავე „ლალატი“-ს მარცხი შეემთხვა.

ყველას ახსოვს „ლალატის“ პირველი წარმოდგენა სახაზინო თეატრში.

მას შემდეგ არც გასწორებულა და არც წამხდარა „ლალატი“-ს სცენაზე დადგმის საქმე. ერთხელ შემუშავებული ტრაფარეტი, ყოველნაირ ლოდიკურსა და კრიტიკულ გამართლებას მოკლებული, — აი, როგორ დახასიათდება „ლალატი“-ს დადგმა ქართულ სცენაზე.

ეს ყველასათვის ნათელია, — ხოლო პირად ჩვენი-კი ღრმა რწმენაც არის, — და ამიტომ არ გავყვებით ჩვენის რეჟისორთა-მიერ

შემუშავებულ ჩონჩხისა და გვემის კრიტიკას. ამ მოკლე წერილის მიზანი „ლალატი“-ს სცენაზე დადგმის პრინციპის გამორკვევაა.

პიესა მეტად რთულია და ბევრს დაკვირვებას თხოვლობს.

„ლალატი“ თავის ეფექტებით რეჟისორს ცრუ მოგომარებობაში აყენებს.

ეს ეფექტები ღუპავს რეჟისორის მუშაობას; და უმთავრესი შეცდომა ც დღევანდლამდე იმაში გამოიხატება, რომ ეს ეფექტებია ქვაკუთხედად, მთავარ პრინციპად ქმნილი „ლალატის სცენაზე დადგმის დროს.

მართალია, ეს ეფექტები პიესასთან განუყრელი არიან; მართალია, სიღამაზის და სიკვლეულისათვის იგინი უსათუოდ საჭირონი არიან, მაგრამ იმდენად, რამდენადაც შენობას მონუქლორთამდეც სჭირა.

„ლალატი“ სიმბოლიური ნაწარმოებია. „ლალატი“-ს დრამატული სფლა (l'action dramatique) და სიმბოლითა ანუ ხორცხმულ აზრთა განვითარება ერთ უმთავრეს დებულების ირგვლივ სწარმოებს.

მთელა ერას რთლი მონობას ვაჭვთა დამსწერევა-დაწვევაში, აი, ეს დებულება.

ეს არის მორავი მთელი დრამის მოძრავ კრკალში!

ეს არის მთავარი აზრი ლეგენდისა.

ყოველი მოქმედი პირი წერტილია დრამატიული კრკალზე დასმული, რომელიც ამ მორავისკენ მიისწრაფის. აი, ეს მორავი და ამ წერტილთა მორავისამბი მისწრაფება უნდა ჩაიყაროს საძირკვლად, რომელზედაც მთელი პიესის კორპუსი აშენდება.

როდესაც „ლალატი“-ს კითხულობთ, სტრიქონთა შორის გამოსკვივის დედა-აზრი პიესისა.

ხოლო სცენაზე თუ გადაიტანთ „ლალატი“-სა, იგი აზრი უნდა აჩვენოთ მაყურებელსა. მორავი პიესისა სცენის გარეშე სუფევს. და, აი, საქმეც იმაშია, რომ იგი მორავი უხილავი ჩანდეს. საჭიროა ისეთი ატმოსფერის შექმნა, სადაც მაყურებელს შეეძლება გრძობა პიესის დედა-აზრის უძრავად სცენის გარეშე სუფევისა.

აი, უზარეველესად ყოვლისა, თუ გაათავადისწინს რეჟისორმა და გამახსნა, შეაგნო უმთავრესი პრინციპი „ლალატი“-ს სცენაზე დადგმისა და ისე შეიმუშავა დაწარმოებიათა გეგმა, მაშინ დაიანახათ სულ სხვას. დავრწმუნდებით, თუ რა ელფერი უნდა ჰქონდეს „ლალატი“-ს. რაკი საძირკველი ჩაყრილია, კვლეების აშენება მეორე უმთავრესი საქმეა. მაგრამ ამაზე კვლავ ვილაპარაკებთ. ჯერ-ჯერობით-კი ეს ვიკმაროთ.



ფეხურვილი

დრამა 3 მოქ. 4 სურ.

ბ. გლახაშვილი

მოქმედება პირველი

I სურათი

მოქმედნი 1 სურათისა:

პეტრია, გლეხი
მიხა პეტ. შვილები
ნინა
ანდრია

ბებია,
მამა ილია, ნამოძ-
ლვარი
ექიმი სოფლისა
გოგია დანიშ. ნინასი

სცენა: სოფლის მიწური დარბაზი. შუაში ჩამოკიდებულ ჯაჭვზე ჰკიდია ქვაბი, ამის ქვეშ ხიშვები ბოლოავენ, მარჯვნივ ტახტზე წვანა: ანდრია და ნინა, ციებ-ციხელებით შეპყრობილნი. გვერდით კერასთან ზის ბებია და ფანდურზე დამღერის.

I

ბებია, ანდრია, ნინო

ბებია (ფანდურზე დამღერს)...
იავ, ნანა, ვარლო, ნანა,

იავ, ნანინაო;

ბაიუნსე და გაიზარდე, ვარლო, ნანინაო.

ნუ შედრკები, ციებაა, შაშვო, ნანინაო;

რასა კრთები, ცხელდება, გვერტო, ნანინაო,

ნატრული ხარ მზის სხივისა?

იავ, ნანინაო,

წყურვილი გაქვს წყაროს წყლისა?

ვარლო, ნანინაო...

ანდრია (შემდეგ უსატყვო ერთ ნასის სიმღერას გამოადვიებს ტუჩების სველებითა) ბებია! პირი მიშრება, წყალი...

ბებია (მაწოდებს ზატარა ჯამით) აჰა, გენაცვალე...

ანდრია (რამოსვამს, ხელათ მოაშორებს) ეს არ მინდა... აუღელვარი მოიტა.

ბებია ექიმმა სთქვა, შვილო, ადუღებულ წყალი სვანო.

ანდრია (უგმუფოფალოდ) ეჰ, ექიმი, ექიმი! წყაროსი, წყაროს წყალი... მტებლა...

ბებია აღარ არის, შვილო... (თავისთვის) წყაროს წყლის ჩვენ ვილა გვანებებს...

ნინო (გამოადვიებს) ბებია, წყალი...

ბებია (მაწოდებს იმვე ჯამს) დალიე, შვილო!

ნინო (შეხედავს ჯამს და რამადებს ზარზე, უკან დაუბრუნებს) ადუღებულაია, არ მინდა...

ბებია აუღელვარი აწყენთო.

ნინო (კანკალოთ) წწწყაროსი... მზე... მცივა...

ბებია (ჩუტკუნის) გადაიხურე, გენაცვალე, ჩემო მზეთუნახაო ნინუცი, საბანი და შენივე ორთქლი გაფაბობს...

ანდრია (მდლა აუურება) ბები!

ბებია რა გინდა, გენაცვალე, ჩემო ანდრია...

ანდრია ეხლა ხომ გაზაფხულია?

ბებია (ამ დროს შერცხალი სისათურზე ჰხას და ჭკაჭკაებს) გაზაფხულია, გენაცვალე...

ნინო (საბანს გადახდას და რამ შენაშნავს, ისევე წახურავს) განა არ გესმის მერცხლის ქიკიქი?

ანდ. მაშ, რატომ მზე არა სჩანს?

ნინო (გადახდას საბანს და ისევე წახურავს) რა, ბატონიანთ სახლია, შამოგიშუქოს?...
ანდ. განა იმისი სხივი აქ-კი არ ჩამოაშუქებს?

ბებ. სანათურშიაც გვაწვდიდა, გენაცვალეთ, თავის სხივებსა...

ანდ. ეხლა რაღასა ძუნწობს?...
ბებ. არა, შვილო, ის გულუხვია. ვინ-კი მიუწვდება, ყველასათვის გულუხვია...

ნინო (გადახდას საბანს, შემდეგ გადახურავს) ჩვენ რაღა დავგემართა?...
ბებ. კედელი ავგიფარა, გენაცვალეთ...
ქვიტიკის კედელი...

ანდ. ვინა?

ბებ. ბატონმა, შვილო, ბატონმა.. დაიძინეთ...



ანდ. რომელში?

ნინო. ძველში?...

ანდ. აი, ის, რომელიც გადაუსახლებიათ?

ბებ. არა, იმისმა მოადგილემ, დღმა ბატონმა...

ნინო. წყაროც იმან გადაგვიგდო?...

ანდ. იცი, ბებია? შე სიზმარი ვნახე...

ბებ. რა ნახე, გენაცვალე, ჩემო გვრიტო?

ანდ. ვითომა: მცხელოდა, პირი ისე მიშრე-ბოდა, რო ტუჩები ერთმანეთს ეწებებოდა...

ბებ. ვუი, ბებია მოგვიკვდა, შვილო, ბებია...

ანდ. ერთბაშად, ის კედელი გაირღვა და წყარო-კი გადმოჩუხჩუხდა...

ნინო მერე არ დალიე?...

ბებ. (სისხრულით) მერე ნაკვალევზე ხომ არ წამოვიდა?

ანდ. ჰოდე. აი, ნაბაღნარის თავით რომაა...

ბებ. იქ მოდიოდა, შვილო! მოდიოდა ის მშვენიერი წყარო...

ანდ. ჯერ ერთი კარგა დავეწაფე; რო გამოვძეხი, მერე გავიძიე ტანისამოსი და შიგ ჩავეშვი...

ბებ. (შეშინებული) მერე ხომ არ დავახრჩო, შვილო?!...

ანდ. არა, ბებია, ვიცი ცურავობა. აი, მდინარეში ვისწაველი.

ბებ. კიდევ იმისათვის გაცხელებს, შვილო! ის წყალი ჰაობიანია... (მადლა ახსულებს) ღმერთო! ნუთუ ამ ანგელოზის სიზმარს არ აახდენ? ამათ მიანც არ აუხდენ?... (ახსულებს, ამ დროს ჩამოეშუქებას თანავ შუხას სხვა)

ნინო (გადახსდას სხასხას, უკვე დამშავადეუფა. შესტყერას მადლა)

ბებ. დაიხურე, გენაცვალე...

ნინ. არა, ბებია, გავთბი... იცი, ბებია, მე-კი რა ვნახე?

ანდ. სიზმარში?

ნინო მა ცხადლივ ხომ შენცა ნახავდი?

ბებ. რა, გენაცვალე, ჩემო შაშვო!

ნინო ვითომ: ბნელოდა და ისე ჰყინავდა, რომ თვალებს ვეღარ-ც-კი ვახვლდი. რალაც ეკლიან ბუჩქებში ვიყავი მომწყვედელი...

ანდ. გამოსვლა გინდოდა და ვერ გამოსულე იყავი?...

ნინო სიარული არ შემეძლო, ვიყინებოდი.

ბებ. ამ დროს უნდა ილოცო ხოლმე, გენაცვალოს ბებია...

ნინო ელოცულობ ხოლმე. ამ დროს ხე-ლი მომავლო ვილაცა ქალმა და მუხლი მომადრეკინა...

ბებ. (ზიზღვარს ისხსავს) წმინდა ნინო იქნებოდა, გენაცვალე იმის მადლსა...

ნინო მითხრა: „ილოცე, შევედრე უფალსა. მეც მოვიხმობ წმინდა გიორგისა“... მართლაც უცბათ გამოქაჩანა თეთრის ცხენით და ის ცამდის აბჯენილი კედელი ლხვარით გაარღვია...

ბებ. (მოაუშენდა) გაარღვია?...

ნინო ღიას, გაარღვია. ამ დროს ამობრწყინდა მზე და დამთბა...

ბებ. მერე გათბი, გენაცვალე?...

ნინო ღიას გავთბი. შემდეგ იქვე კლდიდანა გადმოჩუხჩუხდა ცივი წყარო...

ანდ. მერე, არ დალიე?!...

ნინო დავლიე, მოვიხედე, დავინახე: ჩვენს ნაბაღნარზე გაშენებულიყო ბაღი, შიგ საამურად ქიკვიკობდნენ: შაშვი და მერცხალი; ვარღზე-კი ბულბული იჯდა და დახაროდა.

ანდ. მერე იმ ბაღს ვინა რწყავდა? სათავეში ვინ უღდა?

ნინო სათავეში ვილაცა სამნი უღდნენ; შენ-კი კვალს უსწორებდი...

ბებ. იყო, შვილო! იქ, იმ ადგილას, იყო მაგისტანა ბაღი...

ანდ. მერე, რალამ ამოავდო?

ბებ. უწყლოობამა და უმზეობამა...

ანდ. (მერცხლა ჭკაჭკაებს. მათ შორის დუმილია. ზუხის შემდეგ) ბებია! მწყურთან პირი მიშრება...

ნინო ...ნეტა კი ეხლა ის წყარო დამადრეკინა...

II

იგინივე, პეტრია.

პეტ. (შემადანს შეუშენდა. მიუვა კუთხეში, მიუჯდება და ჩაბუსხს მოუკადებს)

ნინო (მერცხლა ჭკაჭკაებს, ზუხის შემდეგ რა შეჭურებს მერცხლს) ნეტავი შენსავე ფრთები მესხას...

ანდ. რას იზავდი?...

ნინო. თავისუფლად ვიფრენდი. იქ, კედლის იქით, გადავფრინდებოდი, სადაც მზე თავისუფლად ბრწყინავს და თავის სხივებს აბანებს ცოცხაროში...



ბებ. მამა მოვიკვდათ, მამაი!... მერე, თვით მეც, იმ კედლის აშენებაზედა ვეხმარებოდი, მე-კი უბედურმა, რა ვიცოდი, თუ ამით მზეს ვიხშობდი?..

ანდ. (გატყუებული მურცხალითა) ბებია?! რატომ ჩვენ-კი არ გვასხია ფრთები?

ნინო მაშინ ხომ ანგელოზები ვიქნებო? დით...

ბებია აღამიანი, შვილო, მძიმეა... ცოდვიანსა, შვილო, ფრთები ვერ ზიდავს.

ნინო არც აღამსა და ევასა ჰქონდათ ფრთები!

ბებია არა ჰქონიათ, ჩემო ანგელოზო...

ნინო ნეტა ანგელოზი ვიყო...

III

ივინავე, **ექიმი**, **ილია**.

ილია (გარბეშავე) უპირველესი წამალი თავისუფალ მზის სინათლეა და ანკარა წყარო. ხოლო ამათ-კი უხშობს კედელი, რომელიც უნდა დაინგრეს...

ექიმი სოფელმა ბრძანებით ააშენა. ნაბრძანები ბრძანებითვე დაინგრევა.

პეტრია (წამოაძსკეს ნაღვლიანად. წამოდეგება) მეე, მეც ვმუშაობდი იმის აშენებაზედა. დღითი ანადები გვიხაროდა...

ილია თანაც გიკვირდათ, დიდი ბატონის მოწყობება?!...

პეტრია (მწუხარებთ თავს დააქუქეს.) ხალისიანადაც ვმუშაობდით...

ილია (გულმტკუნჯლობით) მძიმე ქებებს აწყობდით, კირით ჰკირავდით. ამით-კი კედელს ამაგრებდით...

ბებია (თავსთავს.) ნაკალი სათავე თვითვე აჰქოლეს და წყარო გადაუგდეს.

პეტრია (ამოფხვრათა.) დიახ, ვკირავდით, ის-კი არ ვიცოდით, თუ...

ილია მზეს იხშობდით...

პეტრია რა ვიცოდით, შენი ქირიმე...

ექიმი (მჯავს უსინჯავს აჯადუთუფებს) ნამდვილი ციებ-ცხელებაა. მთელი სოფელი ამით არის შეპყრობილი.

წაშრპილი, მოქ. I, გამოხვლა III—IV. ნახატი ო. შმერლინგისა



ილია... უპირველესი წამალი: თავისუფალ მზის სინათლეა და ანკარა წყარო...

ექიმი ეგ-კი ბატონის სურვილ-ბრძანებაზე დამოკიდებული...

ილია არა, ხალხისა! სოფელს შეუძლიან დააქციოს...

ბებია ლამის მოიდნოს ყველა ამ სნეულე-ბამა.

პეტრია მაგან არ მოიდნო ჩემი ცოლი და ორი შვილი?... ოჯახი დამიობლა.

ილია კედელი-კი მზეს აპფარებია. კვალი წყაროსი აუბნევია...

IV

აგინაჲე, **გოგია**, **მიხა**

გოგია (შემოსვლისასანაჲე) ის კედელი-კი რომ დანგრეს, წყაროც აქავე გვექნებოდა, ასე შორს წასვლა აღარ დაგვეკირდებოდა.

მიხა დანგრევა, ბარე, კარგია, მაგრამ არც ისე ადვილია?!...

გოგია (აძლეკს ბუბასს კაკათ წყალს) აი, ბებია, წყაროს წყალია...

ნინო (მთრცხვად თავისთვის) წყაროს წყალია?!...

ანდრია ჩქარა მომეცი, ბებია!...

ექიმი (აღიას ელანაჲეკება. შიმართავს ბუბასს) აწყენთ.

მიხა (ნინოს) წყაროსია მა! გოგიამ მოიტანა. საათის სავალი ნახევარ საათში მოარბენია.

ილია (თავისთვის ექიმს) უთუოდ უყვარს...

ბებია დანიშნულის მოტანილი, ვით სიყვარული, გამკურნავია. (ნინოს სიმეკეს) ჯერ შენ დღოე... (ანდრას დარაკებათ) ქალის პატივი, თუმცა „წყალი ჯერ პატარასია“, მაგრამ მანც ჩვენში ძველად ქალის პატივი სჩვევიათ. (მაჟღავნებს ანდრასს) მეც მოვალე ვარ მომავალთ გარდმოგვცედ.

ილია კურთხეულ იყავ მოხუცო! ღმერთმა გამყოფოს სამავალითოთ.

პეტრია ეგ რო არა მყავდეს, მა ვინ მოუვლიდა მაგ ჩემს ობლებსა.

ექიმი (ნინოსა, რა შესაშნავს, რამ ბუბამ მყოფედ მაწოდ წყალა და სვამს) ნუ მოიკარბებ.

ნინო (ბუბასს) თითქო, კარგია ვარ... (გადასქვავს გოგასს) არც მცოეა...

ბებია (აღნაჲე გადიმებს, გადასქვავს გოგასს) თვალი თვალს ათბობს, შვილო სიყვარულით... (ანდრასს) აა, გენაცვა, კიდენ მოსვი. წყაროა ჩვენი განმკურნებელი.

პეტრია დღეს-კი ჩვენთვის დამკირებელი.

ილია წყალი კვლავ ნაგუბარში ჩადგება.

ბებია მაშინ სოველიც ამ სნეულებსაგან განიკურნება.

ანდრია (ბუბასს) ბებია, მცხელა, პირი მიშრება...

ნინო (ბუბასს) ბები, კიდენ მწყურიაან...

გოგია (აღიას, ექვანასაის დამძღაი) თეითონ ჩადგება?!

ექიმი ეგ-კი ბატონის სურვილზეა დამოკიდებული.

პეტრია ჩვენი ბრალია, ჩვენი...

ილია არა. დამოკიდებული ნიადგზეა, რომ თაც სათავე გადაეგდება—მითვე ნაკვალზე გამობრუნდება.

გოგია როგორ?! კედელი თვით დანგრევა, წყარო ჩვენკენ გამობრუნდება?

პეტრია ჩვენ, ჩვენ ჩავკირეთ...

ბებია ინგრევა, შვილო, დედამიწა...

ილია ძალა-უნებური ყოველი დანთქება...

ექიმი ბრძანებით აშენებული, ბრძანებითვე დაინგრევა.

ილია ვინ ჩასდგა კედელი, ჩვენ ნარუის სათავეში? ვინ აუქოლა ამ სოფელს ცამდის აბჯენილი კედლით მბრწყინვალე მზე?

პეტრია ჩვენ, ჩვენ...

ბებია ქვა და კირიც ჩვენის ურმებით მოზიდულია...

ილია ვინც ააშენა—იგივე დაქცევს. ვინც მეფეს დასვამს—იგივე გადასვამს.

პეტრია (იფარშა) მაშ, მთელი სოფელი?...

ილია სოფელი!

გოგია მაგრამ მათში უმრავლესობა დაშენებულია?...

ექიმი ეგ სნეულება.

ბებია უწინ ჯანმრთელნი, ესლა ქაობმა დაასნეულა.

პეტრია წინად? წინად მზე გვიანთებდა...

ილია მირონით წყარო გადმოდიოდა...

მიხა მთელმა სოფელმა?... (თავისთვის) ჩვენმა მშობლებმა?...

ილია (მისსს) აეს და კეთილსა მშობელი სთესავს შვილის სამკელოდ...

ბებია შვილის ვალია მშობლისა ცოდვა მოინანიოს.

გოგია (მისსსს) გახსოვს, მიხა, გეუბნებოდი: ყოველი ღმემდის აშენებული ამომავალ მზეს აპფარებია და ამის გამო ეს სოფელიც ქაობის ბუღელ გარდაქცეულია.

მიხა ახლა-კი მესმის... რასაც გვირჩევი, მაგონდება...

გოგია უნდა დანგრეს, რომ მზე გამობრწყინდეს.

ილია წყაროც—„მირონი“—თავის ნაკვალზე გადმოაუხსნულდეს.

გოგია ხომ ვალადა გედღეს?!... (გადასუდავს ნინოს) მზე იყოს საჭირო... კედელი ეფარებოდეს, ეს-კი ცივებით იტანჯებოდეს? გამკურნებელი წყარო სწყუროდეს და მე-კი აქ მის დაწინულსა შიში მძლეედეს?...
ილია სიყვარულმა ტარიელს ქაჯეთის ციხე ააღებინა.

გოგია მაშ წამო, მისა! ჩვენი ტოლები შევკრიბოთ ყველა, და ერთობის ძალით გადმოვანგრიოთ რაკე-კი რამ მზესა ეფარებოდეს.

მისა გასწი და მოგადეც.

პეტ. მეც გამოკაცებით...

ექიმი ფრთხილად, დიდი ბატონი არ გაგირისხდეთ. ბატონზეა დამოკიდებული.

ილია ნუ აჩქარდებით.

ბებ. აჩქარებითა სოფელი არავის მოუქამია...

გოგ. ნუ აჩქარდებით?! ნუ თუ, ბებია, არ მოილაღე მოვლითა სნეულებისა?

ბებ. მოვლაც და დარიგებაც ჩემი ვალია.

ექიმი. თქვენი-კი მოთმენა.

მისა კმარა მოთმენა. დავიღხრჩეთ ამ ქაობშია.

გოგ. წამოდი, ძმაო! მოთმენა მონას შეძვერის.

ანდ. ბებია! მცხელა, პირი მიშრება...

ნინო ბებია! მკივა...

ბებ. თქვენ დაგენაცვლოთ ბებია, შეილო! წაიძინეთ...

მისა რომ დაესიზმროთ ბრწყინვალე მზეი?! კმარა სიზმარი. წავიდეთ, ძმაო!

გოგ. წავიდეთ, მისა! შე გაგიძღვებით...

პეტ. მეც, მეც თან მოკაცებით...

ილია (შეაჩერეს) მოიტადეთ, სიფრთხილეს თავი არა სტკივა. მოფიქრება სჯობს. გონებით ბრძოლა სჯობნის ღონესა.

ექიმი. ჯერ უცადოთ თხოვნა. რაც ბატონზეა დამოკიდებული.

გოგ. (დაჩინვას კაღთათ) როგორ! კედელსა ვსთხოვოთ, ნუ ეფარება ბრწყინვალე მზესა?

ბებ. არ გამართებს, შეილო, უფროსის ცინვა.

ილია ყმაწვილებო! მათქმევინეთ...

პეტ. უადგილოა შენი დაცინვა.

ილია დაე, გეგონოს. ოღონდ მისმინე და ჩემი რჩევაც გაითვალისწინე.

პეტ. ბრძანეთ. გისმენთ, ჩვენო მამაო.

მისა. გემორჩილებით...

ილია. შეყვაროთ ყველა სოფლის მცხოვრები და მიეუზღვენოთ მოციქულადა...

გოგ. ვისა?! დიდსა ბატონსა? მზისა ამქოლსა, წყაროს დამზობსა?!...

ილია სოფლის მცხოვრების მდგომარეობა დავუსტრათოთ. სნეულები მას შევებარლოთ.

ბებ. ცდა ბედის მონახევრეა.

ილია იქნებ დაგვთანმდეს, ის კედელი განახევროს, რომ მზემ ჩვენსკენ ნახევრად მიინცა დადმოიხაროს. წყაროს ნაწილიც ჩვენსკენ გადმოგვივდოს.

პეტ. ჩვენი სოფლისთვის მზე უშადლიდან გადმოიშორდება და წყაროს ტოტიც საზრდოდ გვეუყოფა.

ილია მაშინ ეს ქაობიც გაშრება.

ექიმი უზილავე ბაქიებიც, ცივ-ცხელებისა, განადგურდება. კოლოები მთლად ამოსწყდება.

ანდ. ბებია! მცხელა, პირი მიშრება.

ნინო ბებია! მკივა...

გოგ. (რა შესაჩვენეს ნინას კანკალს) წავიდეთ, ნულარ ვიგვიანებთ...

მისა (ფაქრში) წავიდეთ...

ილია სოფელს, სოფელს შევეკითხოთ.

ბებ. ღვთის მშობელმა გზა დაგილოცოთ. ნინო წმინდამა გზა გაგინათოთ.

ნინო მკივა...

ანდ. მწყურთან...

ფ ა რ დ ა

ს. გლახაშვილი

(შემდეგი იქნება)



სადღლა არიან

დაბურულს ტუქში მადლი მთაა და ზედ გზა მწარედ დაღონებულა. ჩემს ირგვლივ ქარი დუშის-დრაღლებს და ტუქ ირუკვად აღმთითებულა. მე მუკუნვად სსტრფო, ნათესავებო, მათით ვაუკუბი გარემოცულა.... სადაა არან?... ქარი დრაღლებს და ტუქ ირუკვად აღმთითებულა.

ო. მკედლიშვილი





დრამის მოკლე ისტორია

(გაგრძელება, იხ. „თ. და“ № 1)

ესხილოსის შემდეგ ტრაგედიის მწერლობა მო-
 რის ზირველი ადგილი უჭირავს სოფოკლეს. ის სრუ-
 ლებით არ ჰკავს თავის თანამედროვეს, მაგრამ უხუცეს
 თანამოაქალმეს; რამდენადაც ესხილოსის ტრაგედიები
 ცალკე-ცალკე დაუმთავრებელი იყო, უსწორ-მასწორო
 მოქმედების განუთავრებაში, და მძლიერი შთაბეჭ-
 დილების მიმხედენი, იმდენად სოფოკლეს ტრაგე-
 დიები ამის სწინააღმდეგო სურათს წარმოადგენენ.
 მის ტრაგედიებში აშკარად სჩანს მეტი გემთვრება,
 სისწორე და მთლიანობა, ეს კი ამის მიმასწავლებე-
 ლი იყო, რომ დრამის ფორმა თან და თან განვითარ-
 თარდა, ტენიანად შემუშავდა და თვითონ მწერლე-
 ბიც დახელოვდნენ. სოფოკლეს ტრაგედიები ნაწ-
 უვეტს კი არ ჰკავს, როგორც ესხილოსის, არა-
 მად მთლიანი ხელთაყრელი ნაწარმოებია, სიდაც ფიცი-
 ხოლოგურად ჩინებულად არის განუთავრებელი ხა-
 სიათები (მაგალითად „ღიმილი“). არ არის შიგ
 არც ერთი მეტი სცენა, არც ერთი ალაგა, რომე-
 ლიც გამოიწვეული არ იყოს მოქმედთა გისიხლო-
 გურის მდგომარეობით.

მართალია სოფოკლეს ტრაგედიებში ხორის
 კადრე ჰქვს დომობილი ადგილი ჭრბად, მაგრამ
 ის მოქმედი აღარ არის, არამედ უბრალო მსურ-
 ბელი ტრაგედიის, იგი შეადგენს, ასე რომ ვთქვათ,
 ტრაგედიის მოსართავს, სიმაჟულს.

სოფოკლეს ხელში ტრაგედიად დამთავრდა,
 დასრულდა, ესე იგი ამან ტრაგედიისი მოქმედანი
 ზირნი ორთა და სმითი კი არ განხილვურა,
 არამედ იმდენს მოქმედს გამოიყვანდა, რამეთიხ
 სჯირო იყო ტრაგედიისთვის და თავის აზრის
 დასასურათებლად.

სოფოკლე არ იყო ესხილოსითი გაცტებუელი,
 მქუხარე; მასავით არც სიდამე მოისუსტებდა, იგი
 იყო თანასწორი, დარბაისელი და მტკიცე კალმის
 ზტრანი.

განსაკუთრებულს თვისებას სოფოკლეს ტრაგე-
 დიებისა შეადგენს ხელთაყრად დახსიათება მოქ-
 მედ ზირთა, არა ჩვეულებრივი სინარსრე და სიმარ-
 ტავე ეხის.

აი, ასრე შეიძლება დავახსიათოთ მოკლედ სო-
 ფოკლეს დირსება.

სოფოკლე დაიბადა კოლონაში 498—495 წლები
 შუა და კარდაიცვალა 406 წ. დრამად მოხუცებულად.

ზირველ საკონურსო გამოსვლასწვევე, როდე-
 საც ის 28 წ. იყო, დაპარცხ უვეე სხსელ-გან-
 თქმული ესხილოსი, რომელედ მასხე 30 წლით
 იყო უფროსი. ამის შემდეგ ეს ზირველობა ტრა-
 გედან მწერლის მს ვეღარავინ გამოსწირა დრამ
 მოხუცებულებამდის.

სოფოკლე მონაწილეობას იღებდა თავის ქვეუ-
 ნის ზოლიტაურ ცხოვრებაში და რამდენჯერმე არჩე-
 ული იყო კადრე სხვა და სხვა თანამდებობის ას-
 სრულებლად. სოფოკლეს „ანტიოგონაში“ გამოთ-
 ქმული აქვს თავისი აზრი ამის შესახებ, თუ რა-
 გორი უნდა იყოს ქვეუნიის კეთილი მმართველი;
 ამის გამო თავის თანამემამულეებში არჩიავს იგი
 არქიტრად, ე. ი. მით ის უთხრეს, ამა თუ მართ-
 ლა მც აზრისა ხარ, შენვე ასრულე და ასრუ-
 ლა კადრე.

სიკვდილის შემდეგ სოფოკლეს ათინებებს
 თეატრში დაუდგეს ბრინჯის ძეგლი, როგორც
 ესხილოსის და ვერიაზელის.

სოფოკლე ითვლება ძლიერ ხაყოფიერ მწერლად;
 ელეგების, ეპიგრამების და ხორის შესახებ
 გამოკვლევების გარდა, მას დაუწერია 123 დრამა.

აქედან 100-ის მხოლოდ სათაური-და ვიციით
 და მცირე ნაწილები; ჩვენამდის კი მთლიანად
 მხოლოდ შეიღამ მოადწია, სხსელდობრ: 1, აიაქ-
 სი, 2, ელექტრა, 3 ფილოკტეტე, 4 ჰერაკ-
 ლეს სიკვდილი, 5 მეფე ედიპოსი, 6 ედიპოსი
 კოლონაში და 7 ანტიგონა; უკანასკნელი სამი
 ტრაგედი შეადგენს ერთს მთელს ამბავს, სხსელ-
 დობრ მეფე ედიპოსის და მისი შვილების და სბე-
 დისწერა დაღუპვის მოთხრობას.

ნარვილი



შო რ ე უ ლ ს

(ლეკსისებური)

შენ მიწიერი ციურ არსად გადაგაქციე, გულს
 ჩაგინერვე ღვთაებრივი გრძნობა და სული; ან-
 გელოზთ ნაცვლად მუხათ გუნდი გარს მოგა-
 ხვიე, ვარსკვლად სიტურფე გაგირინე სათაყვა-
 ნებლად.

ოდეს მწყურია თვალთ ვიხილო შენი მშვე-
 ნება, შორს გავსცქერივარ ქვეყნის იქით უსა-
 ზღვრო სიერცეს; ტბილი ოცნებით იქ დაგე-
 ძებ, იქ გპოვებს გული, იქ შემოგხარი, იქ გე-
 დიდებ აღტაცებულნი!..

ნაზი გრძნობანი მალა ცისკენ მოესწრაფიან, შენ ქვეყნად შობილს იქ გეძებენ ფერიად ქვეულს, იქ გიმღერებ, იქ ისმენენ შენს გულის თრთოლვას და თაიგულად მიკონავენ შენს ნაზთა გრძნობათ.

უფრო შორს გასწი, გადაპლახე მსოფლიოს კიდე, არ აგშორდება ჩემი ფიქრი, ჩემი გონება! ამ ქვეყანაზე ჩვენ ტრფობაში ოცნებაც კმარა, საესებით მხოლოდ მე მასში ვგრძნობ ტბილ ნეტარებას.

დაე, ციურო, შენ მშვენიერებამ გაშალოს ფრთანი, მალა გაფრინდეს, ძირს დასტოვოს „მეშიდე ცანი!“ რაც შორს იქნები, მე მით უფრო შემიყვარდები, უფრო მოშვიდავ, სანატრულად გადაიქცევი!

ვერც დროთა ბრუნვა, ვერც წუხილი, ვერც სიხარული ვერ გააქნობენ ამგვარ ტრფობის ყვაილსა გულში, მხოლოდ თუ დაპგმეს ბაგეთ შენთა ეს წმიდა გრძნობა, მაშინ გასქენება და ვაძქრება ტანჯვის უფსკრულში.

ლევ. მებრეველი



მარ. მიხ. საფაროვ-აბაშიძისა (იხ 15 გვ.)

ს ც ე ნ ა კ უ ლ ი ს ე ბ შ ი

თეატრის ძვირფასი მნიშვნელობა თვალსაჩინოა ჩვენთვის. ის დღეს ერთადერთი თავისუფალი სარკეა, სადაც ეხედვით ჩვენს წარსულსა და აწმყოს. სცენაა დღეს ჩვენთვის ენის ტაძარი, საიდანაც სხოვრებში დაკნინებულ და შეშვიკვლულ ქართული ენის ნაცვლად უნდა გვესმოდეს წმინდა, შეუბღალავი საუბარი, დამახინჯებული სიტყვა და ა.რ. ამიტომაც ყოველი საშუალება უნდა ვიღონოთ, თეატრის ასამაღლებლად, მის გასაუმჯობესებლად, მიტო-

ვაც ვაქცევთ ყურადღებას საზოგადოდ პიესის შინაარს, წარმოდგენის გარეგან მხარეს, ვარჩევთ თამაშს, ვებნებთ მსახიობთ, მაგრამ მლიერ ნაკლებად ვიცნობთ სცენის იქით კულისებს და უფრო ნაკლებად ვფასებთ სცენის გამგეს— სცენარიუსს. პირველს ე. ი. კულისების უნაკლებულად გაცნობას, ჩვენი მოვალეობა არ გვავალდებს, ხოლო მეორის ე. ი. სცენარიუსის პასუხსაგებ მოვალეობის გათვალისწინება ყველანათვის საჭიროდ მიგვანჩია. კულისებში, სადაც სუფევს ერთგვარი უწყსობა, — შეუძლებელია ეს სენი სცენასაც არ გადაედვას, ჩვენი თეატრის კულისები ამ მხრივ მეტად ხალისიანი და მრავალფეროვანია. არცე-დარცვა, უთავბოლობა, აურზაური ხშირი მოვლენაა. ათასი ვივაგლახი ახვევია ხოლმე სცენის გამგეს. საქმე უფრო რთულდება მეტადრე მაშინ, თუ თავის მოვალეობასთან ერთად, პიესაში რაიმე როლიცა აქვს სათამაშებელი. რა გასაკვირველი იქნება, ორი მოვალეობის შესრულებით ორივემ თუ არა, ერთმა მიინც წაიკოკლოს.

სასაცილო შემთხვევებიც ხშირია. №-ის სცენაზედ ერთ სცენარიუსს პიესაში ერთი როლი თვითონა ჰქონდა ნაკისრი, მაგრამ, დახეთ უბედურებას: სახელი—თუ ვის როლს თამაშობდა, —დავიწყებოდა.

მოქმედება სწარმოებს. სცენარიუსი წიგნით ხელში დაფაციფუტობს. ხან ერთ კუთხეს აწყდება ხან მეორეს. მუსიაფში გართულ მსახიობთ აფხიზლებს და სცენას აწარმოებს.

ბოლოს ჯერი თვით იმაზე მიდგა.

— აბა, ლეონარდოს გამოსვლაა, — წამოიძახა სცენარიუსმა და მსახიობთ მიუახლოვდა. ლეონარდო იქ არავინ იყო.

— ვინაა, კაცო, ლეონარდო — გაქანდა იგი მეორე კუთხისაკენ. ლეონარდო არც იქ აღმოჩნდა.

— დალაზვროს ღმერთმა, ლეონარდო დაიკარგა— მორაო გამწარებული ძახილი სცენარიუსმა.

წარმოდგენა შეფერხდა. პაუზა ანტრაქტად გადაიქცა. სცენაზე დარჩენილი მსახიობნი მალი-მალ კარებისაკენ იხედებოდნენ. თავს უხერხულ მდგომარეობაში გრძნობდენ და მხსნელს — „მესისა“ ელოდენ.



კულისებში-კი ერთი ალიაქოთი შეიქნა. ლე-
ონარდოს დაეძებდნენ. ყოველივე აირია დაიბ-
ნა. ბოლოს, როგორც იყო, ერთს მოაგონდა:

— შე ოჯახ დაქცეულაო! — შენ არა ხარ
თვითონ ლეონარდო?! — და სწვდა ხელში წიგ-
ნის გამოსართმევად.

— ვაა... მართლა!... — აგერ არა ვყოფი-
ლვარ!!! გახარებით წამოიძახა თავისი თავის
მიძიებელმა და სწრაფად შეაღო სკენის კარ-
ბი...
ჯაფარ-ფაშა

ლისას ბედი

კაი ცხოვრება მაქვს და კაი ბიჭი ვარო კი
უნდა სთქვას სწორედ გაბილა ჩხაიძემ...

საამდროვოდ მოწყობილი დიდებული ოჯა-
ხი, დიდი შეძლება. თუ სადმე დეიტრაბახებდა
გურიაში აზნაური შეილი, გაბილაია პირველი
იყო.

ვისაც აქვს, მიეცეს და მიემატოსო, ოჯა-
ხის დამამშვენებელი ერთად ერთი ქალი ყავდა
ლისაეი... ავ თვალს და ავთ მახსენებულს არ
ენახებოდა, ისე იყო ჩამოსხმული ლერწამივით,
რა პირი და რა ენა გამოსთქვამდა მის სილა-
მაზეს და სიმშვენიერეს... ვინ გინდა, რომ მას
არ შენატროდა, ბევრს მოსვლია პირში ნერწყვი
მის ნახვაზე, ნეტაი იი გოგო ჩემი ბედი
იყოსო...

გაბილაი მაინც და მაინც არც ქე ჩქარობ-
და მის გათხოვებას...

— დედავ ღმერთო, საჭმელი ხომ არ გამ-
წყვეტია ჩემი ბაღანაზა, რომ გადავაგდო სახ-
ლიდან, იტყოდა — როცა უღირს სიძეს შეაძ-
ლევდენ...

ლისას გული სულ სხვისთვის უძგერდა...
მისი სატრფო, გულის გვრიტი, მეორე სოფ-
ლის ჩახმახივით მარდი და შევლზე ლამაზი
ბიჭი, ვალამიია...

მათი შეხვედრა და ფიცი—მტკიცე სიყვა-
რულზე ერთი იყო...

— „გენაცავლე, ჩემო ბიჭიკო, უშენოდ
ღმერთმა ნუ მომასწრას ამ ქვეყნის ბედნიერე-
ბას, რაა ჩემი სიცოცხლე შენ რომ არ მეგუ-
ლებოდე“...

— „ჩემო გოგონა, კაი ხარ და მეშინია,
არ წამართვან შენი თავი... მამაშენს ჩემი გაგო-
ნებაც არ უნდა...“

სოფლის დღეობა მართობა იყო, როცა გა-
ბილაი თავის ოჯახში ტყემალაძე, ქალაქის მწე-
რალი, მიიპატიჟა სადილად. გეიწყო თვალ-
უწვდენელი სუფრა, რა გინდა სულა და გუ-
ლო, ზეთ რომ არ იყო... ეირჩიეს თამადა, განჩადა
სადღეგრძელოები, დატრიალდა ყანწები, „ხა-
სანბეგურას“ და „ხელხვავას“ ბოლო არ ჰქონ-
და, სადღეგრძელო-სადღეგრძელოს მოჰყვა. არ
დარჩენილა არც ბოქაული და არც ნაჩალიკი.
ტყემალაძე ქალაქის თავის ნათლული ყოფი-
ლა.

— „ბატონო მასპინძლო! ნება მიბოძეთ,
დეიწყო ტყემალაძემ, მას შემდეგ, რაც რომ
მთავრობამ ერთობა ძირს ჩამოაგდო და
განმტკიცდა მაგრათ... ჩვენ მის მოციქუ-
ლებს, ბევრი რამ შეგვიძლია; უჩვენოდ
ამ სოფლად არაფერი არ გაკეთდება, განსაკუ-
თრებით თქვენთვის—აზნაურთათვის... კარვად
გეხსომებათ თქვენი და გლეხების უთანხმოე-
ბა.. რომ ყველა ამას ბოლო მოედოს...
ამას გარდა მეც მინდა მოვუძებნო ჩემს გულს
საკუთარი ბინა და დავაწყნარო მისი ძეგრა...
მე, პირველი ჩინის პატრონი, კიმათე ტყემალა-
ძე, უმორჩილესად გთხოვ თქვენ ქალს, გეფი-
ცებით და გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ
ის იქნება ჩემი შუქურ-ფარსკვლავი, ჩემი გზის
მაჩვენებელი, ჩემი... წარმოიდგინეთ ჩვენ ბოქა-
ულსაც ძლიერ გაეხარდება... თუ, რასაკვირვე-
ლია, თქვენც გამაბედნიერებთ“...

დილია მეტი დინო, დატრიალდა ლეკუ-
რი და დღინიშნა ჩვენი გოგო...

საწყალ ვალამას არ დასიზმია, ისე გაარ-
ბეინეს კვირიკეთის ეკლესიაში და გადასწერეს
ჯვარი.

ჯერ არ მოსწრია იმ კუთხეს, ისეთი ქორ-
წილი ვადახადეს. აბა, სასიამორო თავს რო-
გორ შეირცხვენდა...

დედა-დედა რამდენი ქება დეიხარჯა. ძაან
შესხმა იყო სიტყვების...

ლისას გულში არავის ჩოუხედავს...

ერთ მშვენიერი დილას დაატრიალა წაღმა
დედამისმა და გეიტუმბრა: „შვილო, აწი შენ
იცი, როგორ გვარის სასახელო და ბედნიერი
ქალი მეყოლები, არ დეივიწყო ნენა შენი დაჩა-
გრული სოფელი, ვგზეუკუთისაგან შეწუხებული
და ყოველის მხრიდან აწოკებული, შენ და
შენი ქმარი ყველაფერს მოახერხებთ“...



— ეხლა, ეხლა მეუბნები, ნენა, როცა გამ-
ყიდო...

ლოსიე და მისი ქმარი სულ არ იყვენ შე-
სული ახალ დაბრუნებულ მატარებელში, რომ უცებ
ვალთიმამ თვალი მოჰკრა: იცნო გულმა— გული,
სულმა— სული...

უცებ აენტო ვალთიმი, დატრიალდა პატარა
ბიჭი და გავარდა დამბაჩა ერთი-ორი...

ასტყუა ღიღი უბედურება... მატარებელმაც
მიაკივლა და მიაკივლა ჭირისუფალივით...

3. ურუშაძე



ქართული სცენის

მოძაყვალ მუშაკთა მდგომარეობა

(წერილი მოსკოვიდან)

გულზე ცემს მოკვდივად გუერთ ამ სტრაქო-
ნებს და, არ ვიცი, ჩემი სუსტია ხმა მასწავლებელს ქა-
რთული სცენის გულმუშაკთაგანთა ურუშაძე, თუ და-
რწმუნება მხალდადებლისად უდაზნოსი შინა?!

მჯერამ მაინც ფაქტს აღვნიშნავ.

გას არ მოეხსენება, რომ ცნობარება წინ მისწ-
რადგან, ცნობარების ეოველ დარგში ახალი სხვაი
აშუქების, სხვადაცობრივ ურთიერთობის ფორმები
ვითარდება, სხვაფერდება... ამ ზრდაცის განხილვის
აგრეთვე თანამედროვე კულტურულ ქვეყნების სცე-
ნები, ხოლო ჩვენი სამშობლო სცენა რომ ერთს
აღეაღვსუ შეტობრებული, ამის რაღა მტკიცება ეკრანე-
ბა. ჩვენს სცენას თუ ახალი ინტელაგენტია ძალ-
ნა, თანამედროვე სსსრკის ხელაფიგებს განთ-
ბილნი არ ჩაერთუნენ, სექსის გამობრუნება, ფეხზე
დაყენება ისედაც. აღბად სწორედ ამ გარემოებას და
სამშობლო სცენისადმი გარტყვულმა სიუჟარულმა
კამოსტორცნას აქედ რამდენიმე ქართული ახალგა-
ზდა სთაუტრო სწავლის შესაქმნად, თანამედრო-
ვე სსსრკის ხელაფიგების ცოდნის სამშობლო ქვეყ-
ნაში გადასწერვად. მჯერამ არ ვიცი, ჩვენ ქართუ-
ლები ვედარსებით-კი ამ ახალგაზდების გველაჟ სმ-
შობლოში დაბრუნებას ჩვენი სცენის სსსკიეთი?!

სამშობლო, სიდავე, უბინაობა—თათქის შუბლზე
დასწრაფითა, სულს ჭხუთავს ამ მოძაყვალ მუშაკთ
ჩვენის სცენისა...

სუ თუ ქართული სხვადაცობა ისე დახმოსის
გულსიურის სცენასზე სმუშაოდ აქ წამოსულია მია-
მართ, რომ თრ-სამ სტრანჯადის ვერ გამოხსენის
და სამშობლო, უსახსროდ, გატარებით ამოხუთავს
სულს?!

გარდა იმის, რომ აქ სსსრკის ხელაფიგების
შესასწავლად წამოსულმა ბინის ქიარა და სსსრკ-
საქმლის ხარჯი უნდა გადახადოს, მასთვის თვეში
ათობდე მხნეთა მანერ სკარო წიგნების, ყურნაღე-
ბას, თუ სხვა სკარო სმეცადინო ნათობა შეს-
ქმნად.

მჯერამ რას ვამბობ? თვითონ ამ სტრაქონების
დამწერა გახლდათ მოწამე იმის, თუ როგორ და-
თხრატყეს ერთის ბინიდან ჩვენის სცენის მოძაყვალ
მუშაკი და სამშობლო გადაფიორებული თვისევე მხგა-
ვსად დამშუელთა ბინებისკენ გაქმართა... და ესენი-
კი ქართულ სხვადაცობაში ცნობილნი არიან...

ბატონები, სმუშადმი სტრანჯადის თუ ვერ მოუ-
ხერხებთ, ერთ დროული შექმნობა მაინც აღმოუჩი-
ნეთ: ან წარმოდგენა-გონცერტი გამოართო ამთ სხ-
სარკველად, ან სესხად მოაწოდეთ ვინმემ. მსურ-
ველთ შეუძლიანთ თუატრი და ცნობარება—ს რუდა-
ქნაში შეატუნენ დაწვარლებით ცნობები სემოსსე-
ნებულას შესსეგ.

სამშობლო სცენის გულმუშაკთაგანთა, დროით
იგულაისხმეთ ეოველავე ეს, თორემ "ტუელია იქ-
ნებს მერმვალ თათზე ბუნება"...

დროებით გადმოხვეწილი

ჩვენი მსახიობნი

მარიამ მიხეილის ასული საფაროვ-აბაში-
ძისა, მან წელიწადი იქნება, რაც პირველად
სცენაზე გამოვიდა და ქართულ სამუდამო სცე-
ნის საძირკველი ჩაუყარა. ეს ის ხანა იყო,
როცა ჯერ კიდევ ქალი ვერა ჰბედავდა სცე-
ნაზე გამოსვლას: მ. მ. ს.-ამ დაჰგმო ეს ყა-
ლი "შებეღულეობა, გამოღვა ფეხის სცენაზე და
ღიღიღულადაც გამიბარჯვა. მოლოს ხანებში არ
სთამამობს სცენაზე, მაგრამ არ მოიპოვება მე-
ორე ადამიანი, რომ მასავით გულით და სუ-
ლით ემსახურებოდეს ქართულ სცენის საქმეს.
როგორც შევტყუეთ, საზოგადოება ფიქრობს
მისი იუბილეის გადახდას. დაწვრილებით ცნო-
ბებს შემდეგ ნომერში მოვითავსებთ.

ვლ. ალექსი-მესხიშვილი. ეს ერთი კვირაა,
რაც ჩვენი სასტიკული ხელოვანი მსახიობი,
ვლ. ალექსი-მესხიშვილი სამშობლოში დაბრუნ-
და. სამი-ოთხი წელიწადია იგი მთავარ რეჟისო-
რად მსახურობდა რუსეთის სხვა და სხვა ქა-
ლიქთა თეატრებში—კრასნოიარსკს, რიანანსა,



არანგელსა და მოსკოვში, ხოლო უკანასკნელ ხანს საეკსტრადოლოდ მიწვეული იყო ტომსკში. როგორც დანამდვილებით შევიტყუთ, მსახიობი ახლა უკვე სამუდამოდ დარჩება საქართველოში მოაწილეობას მიიღებს თბილისისა და ქუთაისის სცენაზე; აგრეთვე ფიქრობს ჩვენის ქვეყნის საქმე მოაწესრიგოს და სასურველ ნივთებს დაეყენოს, თუ მას ხელი შეუწყვის. მსახიობი ჯერ კიდევ ჯანდონითაა სავსე და ხალისიანად ემსახურება თავის საყვარელ სავანს—თეატრს.

განცხადებანი

ფროკოპა ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი, კვირეული დამატებით. წლიური ფასი 8 მ. და 50 კ. ნახევარი წლით 4 მ. 80 კ. ერთი თვით 80 კ., ცალკე № 5 კ., დამატებით 7 კაპ. ხელის მოწერა მიიღება თბილისში „დროების“ კანტორაში და ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში ი. ავალი-შვილთან; ქუთაისში: ის. კვიციანიძესთან, ხონში: გ. მეზუყესთან, გორში: ს. შველიძესთან, ქიათურაში: ს. ტარუაშვილთან. ფული გამოიგზავნოს თიფლის, რედ. „დროება“, П. С. Агладзе. რედაქ.-გამომცემელი **ი. ს. აბლაძე**.

მოგაველი ყოველ-ღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. წლიურად 7 მ., ნახევარი წლით 4 მ. საზღვარ-გარედ 14 მ. ნახევარ წლით 7 მ. სამი თვით თბილისში 2 მ. 20 კ., თბილის გარედ 2 მ. 50 კ. ერთი თვით 80 კ., თბილის გარედ 90 კ. ადრესი: რუსთა ქ., № 3, ზემო სართული. თიფლის თი. „შრომა“ კალ. კონ. ცუღაძე. რედაქ.-გამომცემელი **ბ. მელიქ-შახნაზარიანი**.

ხალსი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. გაზონდის მხოლოდ ორ შაბ. ფასი ყველგან 5 კაპ. ადრესით: თიფლის, თიპოგ. „Соранп“ დი „Хахи“. რედ.-გამომცემ. **შ. საზაროვი**.

НОВАЯ РЪЧЬ ежедневная общественно-политическая и литературная газета; подписная плата для городских на годь 7 руб. на полгода 4 руб. для ипогородских 8 „ 5 „ помѣсячно 75 коп. адрес: Тифлисъ, Дворцовая д. 1руз. Дворян. ред. газ. „Новая Рѣчь“. Ред.-изд. П. А. Готуа.

1910 წლის 2 იანვრიდან გაქოვლის ახალი კვირეული სამხატვრო-სალოტერატურო სათეატრო სურათებანი უფრნალი **თეატრი და ცხოვრება** იუმორ. განყოფილებით და კარიკატურებით

უფრნალის მიზანია სათეატრო კითხვების გარკვევა-განხილვა; თეატრის წარსული და აწმყო, ისტორია დრამისა და სცენისა. დაიბეჭდება სათეატრო წერილები, კრიტიკული განხილვანი, ისტორიულ-ბიოგრაფიული ცნობანი, მოთხრობანი, ლექსები, იუმორისტული წერილები, სურათები სცენის მოღვაწეთა, ხელოვანთა, მსახიობთა, დრამატურთა. ყოველ ნომერში დაიბეჭდება სარეპერტუ-

არო პიესა, ორგინალური თუ ნათარგმნი. უფრნალში ფართე ადგილი დაეთმობა ეფროპისა და რუსეთის სათეატრო ცხოვრების მიმდინარეობას; აგრეთვე ჩვენ მეზობელთა — სომეხთა, თათართა, ოსთა და სხ. სცენის აღორძინებისა და დრამატული ლიტერატურის შესახებ წერილებს, — უმთავრესს უფრადლებას-კი მიაქცევს სამშობლო თეატრის მდგომარეობას.

უფრნალს სვანკებო თანამშრომელ-კორესპონდენტებო ჰქუეს რუსეთსა და სხვადგარედ.

უფრნალი მოწაწილეობას მიიღებენ: ვ. ახაშვი, შ. ადამაშვილი, გელა, ს. გლახაშვილი, ივ. კომარტელი, ზ. გოთო, ი. გიამაშვილი, ვ. გუჩია, ზ. დადაშვი, შ. დადანი, დეტურკერელი, დ. დარჩა, ვაჟ-ფუშკელი, შ. თაიძე, გ. მ. თუმანიშვილი, ზ. ირეთელი, ნ. დორთქიანიძე, ვ. მღაქაშვილი, ს. მგალობაშვილი, გ. მუსხი, ზ. მირიანაშვილი, დეჟ. შეტრეკელი, ი. მჭედლაშვილი, ნინო ნაკაშიძე, ი. ნაკაშიძე, ნარკანი, დ. ნახუცრიაშვილი, ი. ნიკოლაძე, ტრ. რამიშვილი, ვ. ურუშაძე, ვ. დამაშვიძე, გ. ეიფანი, გრ. ეიფაძე, ვ. მადეკაშვილი, ს. შანშაშვილი, ო. შერეანიძე და სხვა

ცნობილი მწერლები და მხატვრები. კლიშეები მზად. ქარ. აშხ. ცინკოგრაფიაში.

უფრნალის ფანი: ერთის წლით დამატებანიან 2 მ., ნახევარ წლით 3 მ. თითო ნომერი 10 კ. ფულის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად; ხელის მოწერის დროს 2 მან., დანარჩენი ორ ნაწილად. ხელის მოწერა მიიღება დრ. საზ. კანტორაში ი. იმედ-აშვილთან, დღით 10—2 საათამდე. საღამოს 5—8 ს. ფოსტის ადრესი: თიფლის, კონტორა გრუ. დრამ. **ო-ვა. იოს. ზახ. იმედაშვილი.**

რედაქ.-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი**